ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 19 (251) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 9 ოქტომბერი

ქახეთის ზვრების ბარაქა

მალე კახეთში რთველი დამთავრდება. ზვრების ბარაქამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, თვითონ განსაჯეთ — მარტო გურჯაანის რაიონმა სამშობლოს უკვე 60 ათას ტონაზე მეტი ყურძენი მისცა. ვარაუდობენ კიდევ 5 ათასი ტონის მოკრეფას. ასეთი ბარაქა გურჯაანელებს არ ახსოვთ. ყველაზე უკეთეს მოსავლიან წელსაც კი — 1968 წელს, ყურძნის მოსავალმა 47 ათას ტონას მიაღწია მხოლოდ.

წლეულს განსაკუთრებით უხვი მოსავალი მიიღეს ვაზისუბნის, ჩუმლაყის, ველისციხის, შაშიანის, ჭანდრის, არაშენდის, კაჭრეთის, მუკუზნის, კარდანახის, ვეჯინისა და კოლაგის მევენახეებმა.

დიდი რთველი ჰქონდათ ყვარლის, სიღნაღისა და წითელი წყაროს რაიონების მევენახეებსაც. სამივე რაიონში მოკრეფილია 53 ათასი ტონა ყურძენი. როდესაც მოწინავე კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის დასახელებაზე მიდგება საქმე, მათი სიმრავლე გულს გიხარებს. აი ზოგიერთი მათგანიც: საბუის, ქინძმარაულის, ხირსის, ტიბაანის, მანავის საბჭოთა მეურნეობები... ჭიკაანის, შილდის, ძველი ანაგის, ბოდბის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების კოლმეურნეობები...

კახეთში რთველი დასასრულს უახლოვდება, ქართლსა და დასავლეთ საქართველოში კი მხოლოდ ახლა შედის ძალაში. მოსავალს ბარაქა არც აქ აკლია და ალბათ მათი გამარჯვების ამბავსაც სულ მალე გაცნობებთ.



ბარაქიანი რთველის მეკვლე...

ედუარდ ბიბილაშვილის ფოტო

ქართული ლექსის ზეიმი

წელსაც, ისე როგორც წინა წლებში, მთელ საქართველოში აღინიშნება ტრადიციული პოეზიის დღე — რუსთაველის დღე.

წელსაც, ისე როგორც ყოველთვის, ქართველი კაცი, რომელსაც უყვარს სასიქადულო წინაპართა შემოქმედება და ჯეროვნად აფასებს თანამედროვე პოეზიას, ქართული ლექსის ზეიმზე უპირველესად გაიხსენებს რუსთაველის უკვდავ სტრიქონებს. „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი ხალხისათვის იყო და არის წიგნი სიბრძნისა, ფარიცა და მახვილიც. ხმალმა და ლექსმა შეინახაო საქართველო, ხშირად უთქვამს შინაურსა თუ გარეულს. და მართლაც, ბრძოლად შემდგარი ათასობით ქართველის ხმალზე ნაკლებად როდის სჭრიდა რუსთაველის თუგინდ ერთი სტრიქონი — „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. მხოლოდ რუსთაველის ქვეყნის პოეტს შეეძლო ჩვენი ხალხისათვის მძიმე ავბედობის ჟამს ეტვირთა ერის წინამძღოლობა და ხმამაღლა ეთქვა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“.

ოდითვე ჩვენი ხალხი ქართულ ლექსს თვლიდა, როგორც დიდი ილია ბრძანებს, „ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად“.

და ყველაფერი ეს რაოდენ პასუხისმგებლობას, რაოდენ დიდ მოვალეობას გვაკისრებს თანამედროვე ქართველ პოეტებს. პოეზიის დღე — რუსთაველის დღე მარტო ზეიმი კი არა, ერთგვარი შეჯამებაც არის — რა დაიწერა, რა გაკეთდა ერთი წლის მანძილზე. ამიტომ წინა წლებისაგან განსხვავებით, როგორც კი დამთავრდება ქართული ლექსის დღესასწაული, საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართება დისკუსია თემაზე „ქართული პოეზიის დღევანდელი ვითარება“.



იოსებ ნონეშვილი,

პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

პოეზიის დღე — რუსთაველის დღე

ალიო მირცხულავა

ლექსის იმედით

გზები გაშლილან მწვანე კორდებად,
სიყრმის ციცაბოც მახსოვს მრავალი,
ვნანობ, — ერთმანეთს ასე შორდება
ჩემი წარსული და მომავალი.

როდესაც მხოლოდ წარსულს იგონებ,
ალბათ სიბერეც მაშინ იწყება,
არა! — მომავლის ნათელ სტრიქონებს
არ უწერიათ გადავიწყება.
აღარ ბერდება ხე ცხოვრებისა,
ისევ შრიალებს მძლავრი ტოტებით,
ხე,—უკვდავ ბედად მე რომ მელირსა,
დროს უმკლავდება თავგამოდებით.
და ერთად ვხარობთ ზაფხულ-ზამთარი,
მშობელ მიწაში გვიდგას ფესვები,
სუსხი არ გვაკრთობს ტანში გამტარი,
დაბლა უღონოდ არ დავეშვები.
ხეზე ფრთოსნები გაიმღერიან,
თრთიან ფოთლები — მწვანე ჩიტები,
ჩვენ დაბერება არ გვიწერია,
ავდრად მოვარდნილ ქარს ვეჯიდებით.

და ისევ მიდის დრო და ჩემი გზა,
არსად — გადახრა-გადაფერდება,
ისევ იზრდება ხე ცხოვრებისა,
და რაც იზრდება — არ დაბერდება.
მკვიდრია მიწა, მთაც და მდელოც
ხმა და გულისთქმა, აზრიც, გუნებაც,
მიდგას თვალებში საქართველოს ცა,
ჩემში ბუბუნებს ქართლის ბუნება.
ტანთ მიეწლის მტკვარი ნიაღვარული,
სხვა ნიშანწყალიც არ ურევია,
წმინდაა გრძნობა და სიყვარული,
შიგ არვის ხელი დაურევია.
ლექსიც ამიტომ არის ქართული,
სხვა ლექსში არვის აურევია,
ჰშვენის კოლხური კილო ჩართული,
ყალბი სტრიქონი არ ურევია.



განა ცოტას გვეუბნება თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ებრაელთა რბევა არასოდეს მომხდარა? დიდი ილია წერდა: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ“, ქართველთა ასეთ დამოკიდებულებას ჩვენი წინაპრები კარგად გრძნობდნენ და, ზაქარია ჭიჭინაძის თქმისა არ იყოს, „ბევრს ურიათა მღვდელმთავარს სხვა ტომის ძეთა წინაშე ქართველი ერი მოუხსენებია როგორც სამაგალითო და მასთან მისაბაძი ებრაელთა სიბრალულში“. ქართველ ებრაელთა ცხოვრებას მრავალი გულთბილი სტრიქონები მიუძღვნეს აკაკი წერეთელმა, იროდიონ ევდოშვილმა და სხვებმა. ხოლო ანტონ ფურცელაძემ ებრაელ ქალს ივდითს სპეციალური პიესა — „ასული ისრაელისა“ — უძღვნა.

მას საბჭოთა ჰქვია...

— „რომელ ქვეყანაში ვართ აღიარებულნი როგორც თანასწორუფლებიანი ხალხი? რომელმა მთავრობამ შექმნა ყველა პირობა ჩვენი პროგრესული ცხოვრებისათვის? სად ითვლება ანტისემიტიზმი სახელმწიფოებრივ დანაშაულად? — საბჭოთა კავშირში. არსად მსოფლიოში არ ვსარგებლობთ ისეთი უფლებებით, როგორც საბჭოთა კავშირში“. ეს სიტყვები ცნობილ ამერიკელ მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ხაიმე უიტლოვსკის ეკუთვნის და მართლაც. მხოლოდ და მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სხვა ხალხებთან ერთად, ებრაელებსაც სრული თანასწორობა, ბედნიერება და სიხარული მოუტანა. ებრაელ ხალხს საშუალება მიეცა ისტორიულად უმოკლეს დროში მთლიანად დაეძლია საკუთარი სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობა, ჩამდგარიყო კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში.

ის, რისი მიღწევაც შეძლეს საბჭოთა კავშირში ებრაელებმა, როგორიცაა მათი დღევანდელი დღე, რას ჰპირდება მომავალი, მინდა ჭართველი ებრაელების მაგალითზე განვიხილო.

ცოტა რამ ისტორიიდან:

როგორც მეცნიერები ასაბუთებენ, ებრაელები ამ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან“ ქვეყანაში უძველესი დროიდან ცხოვრობენ. ანტიკურ ხანაში ებრაული კოლონიები, მცხეთის გარდა, იბერიის სხვა ქალაქებშიც არსებობდა.

საქართველოს ძველ ხატახტო ქალაქთან მრავალი საყურადღებო ებრაული თქმულებაა დაკავშირებული, უველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: თქმულება ელიოზ მცხეთელზე, ქრისტეს ქვართზე, სიდონიაზე, ლონგინოზ კარსნელზე...

საქართველოსაკენ, კერძოდ მცხეთისაკენ, ებრაელთა ლტოლვას ზაქარია ჭიჭინაძე თავის წიგნში „ქართველი ებრაელნი საქართველოში“, რომელიც 1904 წელს არის გამოცემული, ასე ახასიათებს: „აზიის უოველ თემთა მცხოვრებნი ურიანი მცხეთისკენ ისე მიილტოდნენ, როგორც ბეთლემს, სიონს, იერუსალიმს, ისევე მცხეთას უმზერდნენ იგინი და ჰპატრონობდნენ... ებრაელთა ხასულიერო წოდება მთელს კავკასიის უპირველეს საბინადრო, წმინდა ადგილად მცხეთას სთვლიდნენ“.

რა თქმა უნდა, ებრაელთა ასეთი ლტოლვა საქართველოში ქართველი ხალხის კეთილი ბუნებითა და ქალთმოყვარეობით უნდა ავხსნათ. ძნელია მოიძებნოს სხვა მეორე ქვეყანა, სადაც ებრაელებს ცხოვრების ისეთი ნორმალური პირობები ჰქონოდათ, როგორც საქართველოში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ებრაელები ქართველთაგან არასოდეს განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას. სპეციფიკური და იზოლირებული ქვარტალების არსებობის პირობებშიც კი, ქართველ ებრაელებს არ განუცდიათ ისეთი შეზღუდვანი, როგორიც იყო „ბინადრობის ზოლი“. „პროცენტული ნორმა“ და სხვა დამცირებანი, რაც ისოდენ ხარახად იყო ცნობილი ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი მოძმეებისათვის.

განა ცოტას გვეუბნება თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ებრაელთა რბევა არასოდეს მომხდარა? დიდი ილია წერდა: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ“, ქართველთა ასეთ დამოკიდებულებას ჩვენი წინაპრები კარგად გრძნობდნენ და, ზაქარია ჭიჭინაძის თქმისა არ იყოს, „ბევრს ურიათა მღვდელმთავარს სხვა ტომის ძეთა წინაშე ქართველი ერი მოუხსენებია როგორც სამაგალითო და მასთან მისაბაძი ებრაელთა სიბრალულში“. ქართველ ებრაელთა ცხოვრებას მრავალი გულთბილი სტრიქონები

ებრაელთა ცხოვრებას მრავალი გულთბილი სტრიქონები მიუძღვნეს აკაკი წერეთელმა, იროდიონ ევდოშვილმა და სხვებმა. ხოლო ანტონ ფურცელაძემ ებრაელ ქალს ივდითს სპეციალური პიესა — „ასული ისრაელისა“ — უძღვნა.

ქართველი ებრაელები, ქართველთა სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხებდნენ. მათ მხარდამხარ ედგნენ ჭირსა თუ ლხინში. გავიხსენოთ თუნდაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის თავდადებული მებრძოლი, პროფესიონალი რევოლუციონერი აბრამ რიჟინაშვილი (პარტიული მეტსახელი „იცკა“).


საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ვანო სტურუას ხელმძღვანელობით გამოიყო კომისია, რომელსაც ებრაელთა მდგომარეობისა და საჭიროების შესწავლა დაევალა. იმ ხანებში შეიქმნა და ფართოდ გაშალა მუშაობა ისეთმა ორგანოებმა, როგორიც იყო „მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედი საზოგადოება“, „ლარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი“ და სხვა.


დღეს ქართველი ებრაელები ამაყობენ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად თვიანთი წვლილი შეაქვთ სამშობლოს ჩინებულის საქმეში. ებრაელი მუშა თუ ინჟინერი, კოლმეურნე თუ აგრონომი, ექიმი თუ მასწავლებელი, იურისტი თუ ჟურნალისტი უველაფერს საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა ქვეყნის ბედნიერებისათვის აკეთებს. მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მუშის ეთერ აჭაშელაშვილისა და ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველის რუბენ მაწონაშვილის სახელები. ახლა უველგან პატივითა და დიდებით იხსენიებენ ცხინვალის ხის დამამუშავებელი კომბინატის მეპარკეტეს, კომუნისტურ შრომის დამკვრელს ხაიმ მამიხთვალოვსა და მექანიკური ქარხნის მუშას აბრამ ელიაშაოვს. ქართველი ებრაელები ამაყობენ იმით, რომ რესპუბლიკის მეცნიერების სამსახურში მათი წვრიდან გამოსული 9 დოქტორი და 80-მდე მეცნიერების კანდიდატია.

ჩვენი ცხოვრების რომელ სფეროსაც უნდა შეეხოთ, ეს იქნება სახელმწიფოს მმართველობითი აპარატი თუ ხელოვნება, ლიტერატურა თუ სპორტი, უველგან შეხვდებით ებრაელს დიდი და საერთო საქმისათვის თავდადებულს, პატიოსანს, თავისი სამშობლოს — საქართველოს უანგაროდ მოყვარულს. ამიტომაც არის, ქართველი ებრაელები ასე გადაჭრით რომ გმობენ ისრაელის ექსტრემისტ მმართველთა „მოწოდებებს“ — გახდნენ მათი პროვოკაციების თანამონაწილენი, მიატოვონ ნამდვილი სამშობლო და ხელები მოისვარონ უდანაშაულო ადამიანთა სისხლში, ვითომდა „ებრაელთა მიწა-წყლის“ — დასაცავად.

საჭიროა თელ-ავივში ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ: ქართველ ებრაელებს, ისევე როგორც საბჭოთა ქვეყანაში მცხოვრებ უველა ებრაელს, აქვთ მხოლოდ ერთი სამშობლო და მას საბჭოთა ჰქვია.

აბრამ ციციაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.





სურათებზე: მთაწმინდის პლატოს საბაგირო გზის ქვედა სადგურის ინტერიერი; მარჯვნივ — სასტუმრო „ივერია“.

ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

ოფიციალური ქრონიკა

კოსმოსის გმირი საქართველოში

ამ დღეებში საქართველოში სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი გიორგი ბერეგოვოი.

6 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მზავანაძემ მიიღო სასურველი სტუმარი და გულთბილი საუბარი ჰქონდა მასთან.

სახელოვანი კოსმონავტი სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი გიორგი ბერეგოვოი.

6 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მზავანაძემ მიიღო სასურველი სტუმარი და გულთბილი საუბარი ჰქონდა მასთან.

სახელოვანი კოსმონავტი სტუმარი ეწვია თბილისის რამდენიმე საპატიო სტუმარი ეწვია.

● 19 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სინგაპურის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლი კუან იუ მეუღლითურთ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით. ამავე დღეს საპატიო სტუმარი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ჯავახიშვილმა.

ლი კუან იუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი და საწარმოები.

საქართველოს სსრ მთავრობამ სადილი გამართა საპატიო სტუმრის პატივსაცემად.

● თბილისში 24 სექტემბერს ჩამოვიდა და რამდენიმე დღე იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების და მეცნიერების მინისტრი პროფესორი ჰანს ლეისინგი. სტუმრები იყვნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ხრამჰესში, ჩაის სახლში, შამპანური ღვინოების ქარხანაში.

26 სექტემბერს გერმანელი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ.

თბილისიდან წასვლისას პროფესორმა ჰანს ლეისინგმა ქართველ მეცნიერთა და განათლების მოღვაწეთა დელეგაცია მიიწვია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

● 27 სექტემბერს საქართველოს კიდევ ერთი საპატიო სტუმარი ეწვია — თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვარაჰაგირი ვენკატა გირი მეუღლითურთ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

იმავე დღეს საპატიო სტუმარი მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ძოწენიძემ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შალვა კიკნაძემ.

ინდოეთის პრეზიდენტი გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, თანმხლებ პირებთან ერთად გაისეირნა ჩვენი დედაქალაქის ახალმშენებლობათა რაიონში, ეწვია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

29 სექტემბერს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები თბილისიდან კიევს გაფრინდნენ.

ჩვენი სტუმრები

სექტემბერში თბილისს რამდენიმე საპატიო სტუმარი ეწვია.

● 19 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სინგაპურის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ლი კუან იუ მეუღლითურთ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით. ამავე დღეს საპატიო სტუმარი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ჯავახიშვილმა.

ლი კუან იუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი და საწარმოები.

საქართველოს სსრ მთავრობამ სადილი გამართა საპატიო სტუმრის პატივსაცემად.

● თბილისში 24 სექტემბერს ჩამოვიდა და რამდენიმე დღე იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების და მეცნიერების მინისტრი პროფესორი ჰანს ლეისინგი. სტუმრები იყვნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ხრამჰესში, ჩაის სახლში, შამპანური ღვინოების ქარხანაში.

26 სექტემბერს გერმანელი სტუმრები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ.

თბილისიდან წასვლისას პროფესორმა ჰანს ლეისინგმა ქართველ მეცნიერთა და განათლების მოღვაწეთა დელეგაცია მიიწვია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

● 27 სექტემბერს საქართველოს კიდევ ერთი საპატიო სტუმარი ეწვია — თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვარაჰაგირი ვენკატა გირი მეუღლითურთ, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

იმავე დღეს საპატიო სტუმარი მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ძოწენიძემ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შალვა კიკნაძემ.

ინდოეთის პრეზიდენტი გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, თანმხლებ პირებთან ერთად გაისეირნა ჩვენი დედაქალაქის ახალმშენებლობათა რაიონში, ეწვია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს.

29 სექტემბერს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები თბილისიდან კიევს გაფრინდნენ.

...ქვეყანა რომ ბედნიერია

ჩვენი კარის მეზობლებმა, აზერბაიჯანის მშრომელებმა ზეიმითა და სიხარულით აღნიშნეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი.

2 ოქტომბერს ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის მეომრების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დამსწრეთა ტაშის გრიალში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ე. შელეხტი, დ. ა. კუნაევი, ვ. პ. მუჟანაძე, შ. რ. რაშიდოვი. აზერბაიჯანის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ზეიმზე ჩამოსული დელეგაციათა მეთაურები, მხედართმთავრები.

შეკრებილთ სიტყვით მიმართავს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი გ. ა. ალიევი.

საზეიმო სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი. მჭუხარე ტაში დიდხანს არ დამცხრალა, როდესაც ამხანაგმა ბრეჟნევმა ძვირფასი ჯილდო — ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მიამაგრა აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკის დროშას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საბოლოო სიტყვებს — დაე კვლავაც მყვაოდეს მზიური აზერბაიჯანი, დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ყველა ჩვენი ხალხის ძმური მეგობრობა და ურღვევი კავშირი! — დარბაზში მსხდომნი ფეხზე ამდგარნი, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა აზერბაიჯანი, რომელმაც გადაბიჯა საუკუნის მეორე ნახევარს, კიდევ ერთხელ მიესალმება დიად ოქტომბერს, რადგანაც მან და მხოლოდ მან მოუტანა მის ხალხს ბედნიერება, თავისუფლება, სიხარული... ამიტომაა აზერბაიჯანის ხახლხო პოეტი სამედ ვურღუნი რომ უმღერის ოქტომბერს:

„...მოდი, ძვირფასო, ერთხელ კიდევ
გადაგეხვიო,
შენმიერია, ქვეყანა რომ ბედნიერია!“.

ახალი თეატრალური სეზონი

ტრადიციულად...

ვვესაუბრებით ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მჭედლიძე.

— წლევანდელი, ასმეცხრამეტე სეზონი, ტრადიციულად დიდი ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „დაისით“ გავხსენით პირველ ოქტომბერს. ეს ასე ვთქვათ, ოფიციალური გახსნა იყო. „არაოფიციალურად“ სეზონი გაცილებით ადრე დავიწყეთ. მცხეთის, დუშეთის, კასპის, ქარელის მცხოვრებთათვის გავმართეთ გასვლითი წარმოდგენა ღია ცის ქვეშ, ვუჩვენეთ ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“. თითეულ სპექტაკლს 5 ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა საღამო ნამდვილი სახალხო დღესასწაული იყო.

ერთკვირიანი გასტროლებით ვეწვიეთ გორს, სადაც 4 დადგმით 9-ჯერ წარვსდექით მაყურებლის წინაშე. გულთბილად მიიღეს გორელებმა „დაისი“, „ქეთო და კოტე“, „კარმენი“ „ექიმი აიბოლიტი“.

რა შეიძლება ითქვას წლევანდელ სიახლეებზე? — თეატრის მთავარ დირიჟორად დაინიშნა ვახტანგ ფალიაშვილი, მთავარ რეჟისორად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიზო ჟორდანია. სიხარულით მინდა ვაცნობო მკითხველებს, რომ ჩვენს თეატრს დაუბრუნდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე. მასთან შეხვედრები ბევრ ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს საოპერო ხელოვნების მოყვარულთ.

წლევანდელ სეზონში მაყურებელი ნახავს „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმას, რომელსაც ამზადებენ რეჟისორი გურამ მელივა და საქართველოს და რუსეთის სახალხო მხატვარი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სოლიკო ვირსალაძე. ცეკვებს დადგამს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი, დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯანსუღ კახიძე. სპექტაკლი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს და ზაქარია ფალიაშვილის იუბილეს.

ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“ ახალ ხორცშესხმაზე მუშაობენ რეჟისორები გიზო ჟორდანია და ჯემალ ანჯაფარიძე, დირიჟორია დიდიმ მირცხულავა.

წლეულს ჩვენი პატარები კარგ საჩუქარს მიიღებენ — კომპოზიტორმა ნოდარ მამისაშვილმა მათთვის დაწერა ოპერა „ბაქია ბაჭია“. მისი სცენიური განხორციელება ითავა ჩვენი ოპერის მთავარმა რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ, დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი აზმაიფარაშვილი.

მინდა თეატრის ერთი „საიდუმლო“ გაგიმჟღავნოთ: ჩვენი სახელოვანი ვახტანგ ჭაბუკიანი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დგამს ბალეტ „ჰამლეტს“, რომლის მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა რევაზ გაბიჩვაძემ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვინ იქნება მხატვარი და ვინ შეასრულებს წამყვან პარტიებს. წლის ბოლომდე დაიდგმება ვერდის „ოტელო“.

ძველ სპექტაკლებიდან რეპერტუარში შემოვიტანეთ საუკეთესო დადგმები, ბალეტებიდან — „გორდა“, „გედის ტბა“, „ჟიზელი“, „ლაურენსია“, ოპერებიდან — „პიკის ქალი“, „ტრუბადური“, „აიდა“, „ტოსკა“, „რიგოლეტო“.

სეზონი დაიწყო ჩვენმა ფილიალმაც ქუთაისში. სამ ოქტომბერს ვუჩვენეთ „აბესალომ და ეთერი“. მთავარ პარტიებს მღეროდნენ მედეა და პეტრე ამირანაშვილები, ზურაბ ანჯაფარიძე.

წლევანდელი სეზონი ძალიან შევიდა. დაიწყო ახალი შემოქმედებითი მღელვარებითა და სიხარულით აღსავსე კიდევ ერთი წლიწადი თეატრის ცხოვრებაში.

ორმოცდამეცხრე

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თავისი 49-ე სეზონი ქართული კლასიკით დაიწყო. პირველ საღამოს თეატრის ორივე სცენაზე წარმოდგენილი იყო სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“.

წლევანდელ რეპერტუარში, რომელიც ძალზე საინტერესოდ არის შედგენილი, შეტანილია ქართული, რუსული, უცხოური დრამატურგიის ნიმუშები. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი ამზადებს ლევან გოთუას ცნობილ რომანს „გმირთა ვარამს“, რომელიც სცენისათვის თვით ავტორმა მოამზადა. სპექტაკლს მხატვრულად გააფორმებს თეიმურაზ სუმბათაშვილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. მას დგამს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხეილ თუმანიშვილი. თუმანიშვილი დადგამს აგრეთვე ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „ხიდს“.

შარშან განხორციელებულმა „სამანიშვილის დედინაცვალმა“ თეატრს გამარჯვება მოუტანა. დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს წლეულსაც შეხვდებით რეპერტუარში. „ირინეს ბედნიერებას“ და „დარისპანის გასაჭირს“ განახორციელებს ლილი იოსელიანი.

არჩილ სულაკაურის „სალამურა“ მუსიკალური სპექტაკლი იქნება. მის დადგმაზე მუშაობენ რეჟისორი რობერტ სტურუა და მხატვარი კოკი იგნატოვი.

სპეციალურად რუსთაველის თეატრისათვის ლეილა სულხანიშვილმა თარგმნა ანტონ ჩეხოვის „სამი და“. ეს იქნება პირველი განხორციელება ამ პიესისა ქართულ სცენაზე. რეჟისორად დანიშნულია თეიმურაზ ჩხეიძე.

თეატრმა უკვე უჩვენა პირველი პრემიერა — უილიამსის „მინის სამყაცი“, რომელიც რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ განახორციელა.

კვირაში ერთ დღეს ორივე სცენა დაეთმობა რუსთავის ახალგაზრდულ თეატრს. წელიწადში ორი სპექტაკლი დაიდგმება ერთიანი ძალებით. ეს გამოწვეულია თბილისელთა დიდი ინტერესით რუსთავის თეატრისადმი.

აღსანიშნავია, რომ იანვარში თბილისში ჩამოვა ცნობილი გერმანელი რეჟისორი მანფრედ ვეკვერტი. მან გერმანიაში გასტროლებისას ნახა რუსთაველის თეატრი და გამოთქვა სურვილი დადგას ჩვენთან ბრეხტის „გალილეო გალილეი“. თეატრში მოელიან აგრეთვე სახელგანთქმულ პოლონელ რეჟისორს ხანუშკევიჩს.

მარტში რუსთაველელები მასპინძლობას გაუწევენ ბრეხტის თეატრს „ბერლინერ ანსამბლს“. მას თან ჩამოჰყვება ბრეხტის მეუღლე, თეატრის ხელმძღვანელი ჰელენ ვაიგელი. ამ დროისათვის თეატრში დამთავრდება სახმო აპარატურის დამონტაჟება, რომელიც საშუალებას იძლევა ოთხ ენაზე ითარგმნოს დადგმები.

თბილისელების საყვარელი თეატრი შემოქმედებითი გატაცებით შეუდგა ახალ სეზონს.

ახალი თეატრალური სეზონი

კიდევ ერთი ლაურეატი

ჟორჟ ენესკუს სახელობის საერთაშორისო კონკურსი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება რუმინეთში და ერთ-ერთი წარმომადგენლობითი, რთული მუსიკალური პაექრობაა.

აი ახლაც უკანასკნელ კონკურსში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების პიანისტები, მევიოლინეები და ვოკალისტები. კონკურსი მიმდინარეობდა სამ ტურად. სამივე ტურში შესანიშნავად დაუკრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტმა მანანა დოიჭაშვილმა. საერთოდ კონკურსზე ქართველი ქალიშვილი ყველაზე პოეტურ შემსრულებლად აღიარეს. მესამე ტურში მანანამ დაუკრა ენესკუს სონატა, რომლის შესრულებისათვის მან სპეციალური პრიზი მიიღო და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

საპატიო მივლინება

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადეს საერთაშორისო კონკურსი ცნობილი უნგრელი კომპოზიტორის ბელა ბარტოკის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმებიანი კვარტეტისათვის ნაწარმოების შესაქმნელად. კონკურსის ჟიურში მიწვეული არიან მსოფლიოს თვალსაჩინო მუსიკოს-შემსრულებლები და კომპოზიტორები. საბჭოთა კავშირიდან ჟიურის შემადგენლობაში შევა საქართველოს სახალხო არტისტი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი სულხან ცინცაძე.

კავკასიის თემა — ტელეფილმები

ორიოდე წელიწადია, რაც ჩვენში ტელეფილმების სტუდია შეიქმნა. ამ ხნის მანძილზე სტუდიამ 50-მდე მხატვრული ჭრონიკალურ-დოკუმენტური და მუსიკალური ფილმი გამოუშვა. ზოგიერთმა წარმატებით შემოიარა საკავშირო და საზღვარგარეთის ეკრანები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ „სერენადა“, „ქვევრი“, „ვაჟთა გუნდი“, „ფეხბურთი უბურთოდ“, „მეთორნეები“, „ორერა სრული სვლით!“.

ამჟამად სტუდია მუშაობს მრავალსერიან დოკუმენტურ ფილმზე, რომელშიც აისახება საბჭოთა საქართველოს ნახევარი საუკუნის მატიანე. ხაუბილეოდ იღებენ აგრეთვე პირველ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს „მუუდრო სავანეს“ ცნობილი ქართველი მწერლის სერგო კლდიაშვილის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა VI პლენუმი, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა ტელეფილმების სტუდიის ნამუშევრების განხილვას.

პრემიერა... 35 წლისთავზე

დიახ, სწორედ პრემიერაზე მოვიდნენ მაყურებლები საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ფილმფონდის თბილისის კინოთეატრ „კოსმოსში“, სადაც ქართული კინოს საგანძურის ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილების — „დარიკოს“ შემოქმედებით კოლექტივს შეხვდნენ. 35 წელიწადია, რაც „დარიკო“ არ ჩამოდის ეკრანიდან. იგი ერთ-ერთი ბედნიერი ფილმთაგანია, რომელმაც წარმატებით გაუძლო დროის გამოცდას.

ფილმისადმი დიდმა ინტერესმა განაპირობა მისი განახლების საკითხი. „დარიკო“ ხელახლა გაახმოვანეს, გაუკეთდა ახალი რედაქცია, დამონტაჟდა. აღდგა. სწორედ ამ განახლებული ვარიანტის პრემიერა გაიმართა ამ დღეებში კინოთეატრ „კოსმოსში“.

პრემიერაზე მოვიდნენ ფილმის რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი დოლიძე, სახალხო მხატვარი ჭორნელი სანაძე, რეჟისორი დორე ხინთიბიძე, ოპერატორი შალვა აფაქიძე. დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დარიკოს როლის შემსრულებელს, ცნობილ ქართველ მსახიობს თამარ ციციშვილს. საღამო მიჰყავდა რესპუბლიკის სახალხო არტისტს, რეჟისორ რეზო ჩხეიძეს.

თამარ ციციშვილას, სანდრო ჟორჟოლიანის, სერგო ზაქარიაძის, შალვა დამბაძის, ნუცა ჩხეიძის, არკადი ხინთიბიძის გამოჩენამ ეკრანზე მაყურებელს კიდევ ერთხელ განაცდევინა დიდი ესთეტიკური სიამოვნება.

მუზის ნავსაყუდელი

ჯუმკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, გორკი, ესენინი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, რომელი ერთი ვასხსენოთ. თითოეულთან თუნდაც ერთხელ შეხვედრაც დაუვიწყარი, ტკბილმოსაგონარი, საამაო. ჩემი სამშობლოდან კი მათ მრავალზის შეხვედრია, საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყოველი მათგანის შემოქმედებაში.

ტრადიცია, რომელსაც საუკუნეებით მიღმა ჩაუყარა საფუძველი, გრძელდება. რუსი მწერლები და პოეტები კვლავაც მოისწრაფიან საქართველოსთან შესახვედრად. ახლა მათთან ერთად დიდი სიყვარულით ვუწევთ მასპინძლობას უკრაინელ, ლატვიელ, ესტონელ, აზერბაიჯანელ, ყირგიზ, სომეხ — მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს მუზის მსახურთ.

გაგრა, რუსთაველის გამზირი. მთასა და ზღვას შორის მოქცეული სამსართულიანი მყუდრო შენობა. ჩვეულებრივად მწერლების სახლს უწოდებენ, კედელზე გაკრული ფირნიშზე კი ვკითხულობთ — „სსრ კავშირის მწერალთა კავშირი. საკავშირო ლიტფონდის შემოქმედებითი სახლი“. იგი არსებობის ორ ათეულ წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე აქ ისვენებდნენ, მაგი ზღვის ტალღებში ნებივრობდნენ, თაკარა მზეზე ირუჯებოდნენ, ახალ ლეგენდებსა და მოთხრობებს წერდნენ პოლიტიკოსი და ტიხონოვი, მიხალკოვი და პასტერნაკი, სურკოვი და პოლევოი, გრანინი და ტვარდოვსკი, ფედინი და ვვედენსკი... მათი მასპინძლები იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, აკაკი ბელიაშვილი, კარლო კალაძე, იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე...

საღამოს, როდესაც რუსთაველის გამზირს ლამპიონები ანათებს, როდესაც გაგრის ცას მთვარე და ვარსკვლავები უდგება დარაჯად, ამ სახლის ეზოსა თუ აივნებზე ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი ადამიანები დილით, პლაჟზე დაწყებულ საუბარს აგრძელებენ. მოკლეა ღამე. მწერალთა ბაასი კი დაუსრულებელი. ხალხის მსახურს, რომელი ერის წარმომადგენელიც უნდა იყოს იგი, ერთნაირად აღელვებს მწრომელი ადამიანის ბედი, სამშობლოს დღევანდელი დღე, მისი მომავალი. და ამ უწვეულოდ დიდ დღეებსა და მოკლე დამეებში იბადება მეგობრობა, რომელმაც არ იცის საზღვრები, [illegible] ლებს ასე ხშირად შეკრებილ [illegible] ჩვენს სტუმრებს საქართველო, მეგობრობა, რომელსაც წყვდიადი ამერცხლებული ცალი მოაკვლს.

— გაგრაში უცხოელი მწერლებიც ჩამოდიან, გვეუბნებიან შემოქმედებითი სახლის დირექტორი გიორგი ბადაძეური. ჩვენთან ისვენებდნენ ჯერმენ ოლდრიჯი, ნაზიმ ჰიქმეთი, იან დრდა, იყვნენ ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან...

როგორც ყოველთვის, აქ ახლაც სტუმარმრავლობაა. პირველი, ვისაც ვხვდები, მოსკოველი დრამატურგი ალექსანდრე შტეინია.

— საქართველოსთან ბევრი რამ მაკავშირებს, — მეუბნება სტუმარი. — ამ მადლიან მიწაზე ფეხი პირველად 1935 წელს დავადგი. მაშინ ჩემი მასპინძეები პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე იყვნენ. მთელი საქართველო ფეხით შემოვიარეთ, ვეწვიეთ კახეთს, იმერეთს, ფშავ-ხევსურეთს. სხვათა შორის, გრიგოლ აბაშიძესთან ერთად სულ ახლახან შორეულ ციმბირშიც ვემოგზაურე. ვერ ვიტყვი, ქვეყანად ცოტა მეტად მოგზაურობა მყვარებია, მაგრამ ის, რაც სიმონ ჩიქოვანთან მოგზაურობაზე მეტი იყო. — ღმერთო! ყოველთვის ასე მივმართავდით ერთმანეთს. წელს შეიძლება თან წამოვიყვანე, მინდა ჭაბუკობიდანვე ეზიარის ამ განუმეორებელი მთა-ბარის სიდიადეს, სიღარიბესაც, იმ როგორიც მხოლოდ აქ შეუძლიათ...

— არა, აქ მუშაობა შეუძლებელია. აქ მხოლოდ ვისვენებთ, შემდეგ კი, როდესაც ყოველივე მოგონებად იქცევა. განცდილსა და ნანახს გადავიტან ფურცლებზე. ზამთრის გაგრის მცხუნვარე მზის სხივებით ხელახლა [illegible] და რაც მთავარია, [illegible] საც მოვუყვები ჩემი [illegible] ბის ამ ლამაზ დღეებზე. [illegible] თად ერთი, რასაც ახლა [illegible] თებ — მაგნიტოფონზე [illegible] ქართულ ხალხურ სიმღერებს. უკეთეს სუვენირს, [illegible] ვერც ინატრებდა კაცი. — [illegible] დაგვიხასიათა „გაგრის დღიურები“ ჟურნალ „მოსკოვის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ მიხეილ გოდენკომ.

როდესაც დამშვიდობებოდა შორის ცნობილ კინომსახიობს [illegible] ია სავანას მოკრძალებით [illegible] ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. გაგრის ხმირი სტუმარი ვარო, მითხრა საბჭოთა კინოს ვარსკვლავმა. მე პროფესიით ჟურნალისტს, საგზურზე უარს არ მეუბნებიან. ჰოტელსა და მწერლებთან დასვენებას განა რამე სჯობს? წლეულ [illegible] ჩემს მეგობართან პოეტ ბელა ახმადულინასთან ერთად ჩამოვლიავი, მაგრამ ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის [illegible] ვიათად ვაცილი, მაგრამ ახლა ქართულ ფილმზე რეჟისორის დაწერას ვერავინ მასწრებს... ახლა რაზე ვმუშაობ? ერთდროულად მიწევს [illegible] ფილმში, მე კი აქეთკენ გამოვწიე... არჩევანს ცოტა მოვიანებით გავაკეთებ.

გაგრაში კიდევ რამდენიმე მწერალსა და პოეტს შევხვდით. თითოეული თავისებური გვიხსნიდა — რატომ უყვარს საქართველო, რას მადლობს მეგობრობას, რომელსაც საუკუნეებში აქვს ფესვი გადგმული, რითი უპასუხებს ჩვენი ხალხის სტუმართმოყვარეობას.

მწერალ ვლადიმერ პოპოვის ოცნებაა უახლოეს ხანში მოინახულოს რუსთავი და წიგნი უძღვნას ქართველ მეფოლადეთა შრომას, მიხეილ ლუკონინს კი სურს რაც შეიძლება მეტი თარგმნოს ქართულიდან რუსულ ენაზე, რომ ჩვენს შემოქმედებას მეტი თაყვანისმცემელი შესძინოს. პეტრე ტურს და იოსებ დიას თბილისი მონატრებიათ და მის შესახვედრად ალაგებდნენ ჩემოდნებს, ახალგაზრდა პოეტს ლევ სმირნოვს კი ოცნებად ქცევია საქართველოს ფეხით შემოვლა. დარდობს, ცოტა დავაგვიანე კიდეცო...

შეუმჩნევლად გარბენ დღეები. ვტოვებ „მუზის ნავსაყუდელს“ და ერთხელ კიდევ ვლოცავ იმ კაცს, პირველად რომ თქვა — სტუმარი ღვთისაო.


ომარ მესხიშვილი

გაგრა.



სურათზე: ლიტფონდის შემოქმედებითი სახლი გაგრაში.

בדרכים לשלום עם ירדן



**המלך חוסין בראיון לעורכי עיתוני ישראל: „אנחנו מוכנים לחתום על הסכם שלום עם ישראל בתוך 12 חודשים מיום החתימה. אנחנו מוכנים לסגת מרוב שטחי יהודה ושומרון, ואפילו מירושלים, אם ישראל תסכים לכך. אנחנו מוכנים לקבל הסדרים מיוחדים לגבי ירושלים, שיאפשרו לישראל לשמור על ביטחונה. אנחנו מוכנים לקבל הסדרים מיוחדים לגבי הגבולות

ახალი წიგნები



გამოვიდა კრებულის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ — მორიგი, XVII ტომი, რომელიც იხსნება არნოლდ ჩიქობავას წერილით „თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“.

კრებულში განხილულია თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების თეორიის აქტუალური პრობლემები და ქართველური და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის, აგრეთვე ამ ენების ისტორიული-შედარებითი შესწავლის საკითხები, ქართული სალექსიკონო და დიალექტიკური მასალები, ფშაური სალექსიკონო მასალა.

აქვეა ფრანგული ჟურნალებიდან გადმობეჭდილი ცნობილი ქართველოლოგების — ჰანს ფოქტისა და რენე ლაფონის წერილები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შესახებ.

გთავაზობთ ნაწყვეტს არნოლდ ჩიქობავას წერილიდან:

◆◆

ამჟამად 12 სამწერლო და 20 უმწერლო იბერიულ-კავკასიური ენა გვაქვს;ეს ენები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1. ქართველური ანუ იბერიული ჯგუფი (ძველი ქართული სამწერლო ენით — ძეგლები V საუკუნიდან); 2. აფხაზურ-ადიღური ჯგუფი (სამწერლოა: აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული); 3. ნახური (ჩაჩნური) ჯგუფი (სამწერლოა: ჩაჩნური, ინგუშური); 4. დაღესტნური, ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი (მწერლობა აქვს: ხუნძურს, დარგუელს, ლეზგიურს, ლაკურს, თაბასარანულს).

სულ იბერიულ-კავკასიურ ენებზე ლაპარაკობს (1959 წლის აღწერის ცნობათა მიხედვით) დაახლოებით 4.350 ათასი კაცი (ეს არის ძირითადი მოსახლეობა საქართველოს სსრ-ისა, დაღესტნის ასსრ-ისა, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ-ისა, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ისა, ყარაჩაით-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქისა და ადიღეს ავტონომიური ოლქისა).

ქართულს ლაპარაკობს 2.640 ათასი კაცი, დაღესტნის ენებზე მოდის დაახლოებით 760 ათასი (აქედან: ხუნძურზე — 270 ათასი, ლეზგიურზე — 233 ათასი, დარგუ-

იბერიულ-კავკასიური ენები

ულზე — 158 ათასი, ლაკურზე — 65 ათასი, თაბასარანულზე — 35 ათასი); ჩაჩან-ქისტი — 418 ათასია (ქართველების შემდეგ ამჟამად ეს არის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი იბერიულ-კავკასიური წრისა); ადიღეურ ენებზე — ადიღეურსა და ყაბარდოულზე ლაპარაკობს 310 ათასი; მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ადიღე (ჩერქეზი) ხალხი ყველაზე დიდ ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდა მთის იბერიულ-კავკასიელ ხალხთა შორის. ბევრი ადიღე გადასახლდა თურქეთში; ოფიციალური ცნობების თანახმად მხოლოდ 1864 წელს გადასახლებულთა რიცხვი 258 ათასს შეადგენდა (ადიღეთა სოფლები ამჟამადაც არის სირიაში, იორდანიაში, ლიბანში, რომლებიც XIX ს. ოტომანთა იმპერიაში შედიოდნენ); ამ ორმოციოდე წლის წინათ თანამედროვე თურქეთის ქალაქებში ოფიციალური ცნობების თანახმად ასი ათასამდე ადიღე-ჩერქეზი ცხოვრობდა.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ერთი ენა, უბიხური, თურქეთშიღა გვაქვს: უბიხები XIX საუკუნეში ერთიანად გადასახლდნენ თურქეთში.

გამოიცა ესტონეთში

გამომცემლობა „ეესტი რაამატმა“ გამოსცემს ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ისტორიის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ბახელის საინტერესო ნაშრომს — „საბჭოთა ესტონეთის ლიტერატურული ურთიერთობანი“.

წიგნში ვრცლად არის განხილული ესტონური ლიტერატურის ურთიერთობის ისტორია საბჭოთა ხალხების ლიტერატურასთან.

საინტერესოდ არის გაშუქებული ესტონური და ქართული ლიტერატურის ურთიერთობა. საბჭოთა ესტონეთში თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ქართული მხატვრული ნაწარმოები უთარგმნიათ. საბჭოთა ხალხების მწერალთა პირველი წიგნიც, რომელიც იქ გამოუციათ, ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ ყოფილა. წიგნში ჩამოთვლილია მრავალი ქართველი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერალი, რომელთა ნაწარმოებები ესტონურად არის ამეტყველებული.

რუსულ, ჰინდისა და ინგლისურ ენებზე

გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოუშვა რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნი „მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და აზიის სხვა ქვეყნებში“. წიგნის ამ ახალ გამოცემაში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თაოსნობით მომზადდა, ტექსტი ერთდროულად წარმოდგენილია რუსულ, ჰინდისა და ინგლისურ ენებზე.

მოსე გოგიბერიძის საქმეული

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის (1897-1947) რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა სამტომეულის პირველი ტომი. მასში შესული ნაშრომი „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში“, რომელიც 1922 წელს ავტორის მიერ მარბურგის უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციაა, პირველად გამოქვეყნდა ქართულ ენაზე. პირველად გამოიცემა „შემეცნების აქსიომატიკური დასაბამი“.

ტომს წამძღვარებული აქვს გურამ თევზაძის ვრცელი წერილი მოსე გოგიბერიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაზე

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია მრავალტომიანი უნივერსალური სამეცნიერო ცნობარია, რომელიც გააშუქებს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროს. ენციკლოპედიაში განსაკუთრებით ფართოდ აისახება საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და აწმყო.

ხელმოწერა მიიღება „საქწიგნის“ და სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში. ხელმოწერის დროს ხელმოწერს შეაქვს ბე — ერთი ტომის ღირებულება 4 მანეთი. თითოეული ტომის მიღების დროს ხელმოწერი გადაიხდის მის ღირებულებას, ხოლო უკანასკნელი ტომი გაიცემა ხელმოწერისას შეტანილი ბეს ანგარიშზე.

● შენიშვნა: უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს შევახსენებთ, რომ მათ შეუძლიათ უსასყიდლოდ მიიღონ ახალი ქართული გამოცემები, და მათ შორის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ტომები, თუ ამის თაობაზე დროულად გამოგზავნიან წერილობით მოთხოვნას შემდეგი მისამართით: თბილისი 26, წერეთლის პროსპექტის ქუჩა № 25, უცხოელებთან მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი.



ქარავნით და ქარფეხრი არ არის დავიწყებულა

მაია ნემიროვა

ევვერ კალანდაძე



(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №№ 16, 17, 18)

ზეინკლიშვილმა ამოიღო ბრეზენტის ჩანთიდან ერთი პიროჭსილინის ქუდიკი, ბიკფორდის ზონარის ნაჭერი, მესანგრის ბარი, მიაწოდა ჯიმუშაძეს და დაცინვით უთხრა:

— იმუშავე, პროფესორო!

მიტომ შეუმჩნევლად ჩაუკრა გრიშას თვალი, გამოართვა ზეინკლიშვილს ბარი და სერიოზული გამომეტყველებით დაიწყო ორმოს თხრა. ზეინკლიშვილი ხმისამოუღებლივ მისჩერებოდა მას. მიტოც დუმდა. მოათავა მიწის ამოთხრა და არც მობრუნებულა, ისე გაუწოდა ხელი.

— მომეცით!

— ზეინკლიშვილმა მიაწოდა ასფეთქებელი მასალა და ზონარი. მიტომ ჩაუწყო ყველაფერი, წაყარა მიწა, წამოდგა და თქვა:

— მზად არის.

ნინიკაშვილი და ზეინკლიშვილი წავიდნენ წინასწარ ამორჩეულ საფარში. მალე მათთან ჯიმუხაძეც მივიდა და სულ ცოტა ხანში აფეთქების ხმაც გაისმა.

— არაფერიც არ არის. — დაასკვნა ზეინკლიშვილმა, როდესაც მრავალხმიანი მთის გამოძახილი მიწყნარდა. გრიშამ და მიტომ ისედაც კარგად იცოდნენ, რომ აფეთქების შედეგი მეტად უმნიშვნელო იქნებოდა, მაგრამ სანახავად მაინც წავიდნენ. ბორკვის ფერდობი, რომელშიც ჩადებული იყო ასაფეთქებელი მასალა, თხუნელასაგან ამოთხრილ პატარა ორმოს წააგავდა.

მოვიდა ზეინკლიშვილი. შეხედა პატარა ორმოს, ხმა არ ამოიღო და იქვე ახლოს დაიწყო მუშაობა ახალი აფეთქების მოსამზადებლად. მიწას აუჩარებლად სჭრიდა, გულდასმით უთხრიდა ბარით ორმოს გვერდებს.

— მზად არის. — განაცხადა ბოლოს მან, მოაბა ზონარი, ცეცხლი წაუკიდა და გაიქცა საფარისაკენ, სადაც გრიშა და მიტო იმყოფებოდნენ.

გაისმა აფეთქების ხმა, მაგრამ ისეთი ძლიერი, რომ გეგონებოდათ მთელი სამყარო შეზანზარდაო.

აფეთქებამ მთელი გორაკი ისე მოახგრია, რომ იქ მხოლოდ მოხნული, მოსწორებული ადგილიღა დარჩა.

— აი მესმის! — აღტაცებით წარმოთქვა მიტომ.

ზეინკლიშვილმა გამარჯვებულის იერით გაიღიმა.

— ეჰ, ახალგაზრდები ხართ ჯერ კიდევ, ჯიბეში დიპლომი გიდევთ, კი... და მოკაკული თითი შუბლზე დაირტყა.

მიტოს არ სწყენია, თავმოყვარეობას პროფესიონალური ცნობისმოყვარეობა ამჯობინა.

— გვიჩვენეთ, როგორ აკეთებთ ყველაფერ ამას?

— აა, გაჩვენოთ? — ზეინკლიშვილი კმაყოფილი იყო გამარჯვებით, იმით, რომ პრაქტიკულად დაამტკიცა თავისი პროფესიონალური გამოცდილება და ჯანსაღი აზროვნება. ახლა კი უკვე მშვიდობიანად დაუწყო ამხანაგებს ახსნა, თუ როგორი უნდა იყოს ორმო, როგორი კუთხით უნდა ჩაიდოს ასაფეთქებელი მასალის კუბიკი, რა სიხშირის მიწა უნდა დაეყაროს თავზე და სხვა წვრილმანები.

— კარგად გაქვთ გამომუშავებული! — შეაქო მიტომ.

— არ ვიცი კარგად არის თუ ცუდად, მაგრამ მესანგრემ ეს ყველაფერი უნდა იცოდეს, ყოველნაირ ნიადაგს, როგორც ადამიანს, თავისი ხასიათი აქვს. მით უმეტეს ჩვენთან, კავკასიაში. იქ ხანდახან ისეთი ნიადაგი შეგხვდება — ცარიელი ქვაა. თუ წესი არ იცი, რაბდენი ასაფეთქებელიც არ უნდა ჩაწყო ადგილიდან ვერ დასძრავ, კბილებით რო გლიჯო. პატარა ქვას ვერ ამოაგდებ. დგას შენს წინ ბუმბერაზი, თოვლით წვრილგათეთრებული, ღრუბლებს მიბჯენილი მთა და დასცინის შენს უღონობას...

— მართალია, — დაუჭირა მხარი გრიგოლმა, — ჩვენი კავკასიის მთები განსაკუთრებულია. ასეთი მთები მთელ ესოფლიოში არ მოითვლება... მაგრამ რაღაცაც წარმოვიდგენ, რომ შეიძლება აი ამ ხელებით ნორჩიდეს მათი ნგრევა, საკუთარი მიწის აფეთქება, ვიღაც გადამთიელი უცხოელების ბრძანებით, კანკალი ამიტანს ხოლმე.

გრიგოლი მისჩერებოდა ზეინკლიშვილს, თითქოსდა თავისთავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა, — ეჰ, ეშმაკმა დალახვროს ასეთი ცხოვრება! ჭირ იცის. რა მოგვცეს? ესროლო შენს საკუთარ ძმას ბრგობარს, ნათესავს... შენ შეიძლებ ეს გააკეთო? — გრიშა გამომცდელად მიაშტერდა ზეინკლიშვილს. მისი სახე ისევე უცვლელი იყო, როგორც ყოველთვის. ამიტომ პასუხიც მოულოდნელად გაისმა:

— კი... ეს ძნელი საქმეა... შეიძლება?... არ ვიცი. მეტი ლაპარაკი არ მოინდომა.

— წავიდეთ!

ხმის ამოუღებლად ბრუნდებოდნენ. ზეინკლიშვილის მიერ შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება გრიშას საშინი ჭრიჭინებოდა; ამიტომ მიტოს ანიშნა, ჩუმად იყავიო. მალე ბანაკში დაბრუნდნენ.

(გაგრძელება მე-7 გვ.)

პირველი დისერტაცია ქართულ უნივერსიტეტში

1920 წელი. 9 მაისი ძველი სტილით. კვირა დილა. 10 საათი, თბილისის უნივერსიტეტის ახლანდელი სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი — მაშინდელი პირველი აუდიტორია. დარბაზში ტევა არ არის. კათედრის წინ მაგიდას უსხედან სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები — დღეს ფაკულტეტის საგანგებო საჯარო სხდომაზე პირველი დისპუტი იმართება ქართულ ენაზე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

საბჭოს სხდომას საზეიმო ვითარებაში ხსნის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი კორნელი კეკელიძე. იგი ამბობს: „ამიერიდან ქართველ მკვლევარს სრული შესაძლებლობა ეძლევა, სამეცნიერო ხარისხი მიიღოს მშობლიურ უნივერსიტეტში, მშობლიურ ენაზე“. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მდივანი პროფესორი გიორგი ახვლედიანი დამსწრეთ აცნობს დისერტანტის მოკლე ბიოგრაფიას. დისერტანტი გახლავთ 33 წლის ახალგაზრდა — აკაკი შანიძე. იგი შავ ფრაკსა და თეთრ ჭელთათმანებში გამოწყობილი დგას აუდიტორიის წინაშე. „დიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბედმა მე მარგუნა. ბედნიერი ვარ მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოვლენა ქართული ენისა და სად, თუ არა საქართველოში, სად, თუ არა ჩვენს დედაქალაქში, სად, თუ არა ქართულ სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დაცული ასეთი დისერტაცია?“

აკაკი შანიძის ნაშრომს — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომელიც 1920 წელს წიგნად გამოქვეყნდა, მაღალი შეფასება მისცა ივანე ჯავახიშვილმა (რომელიც დისერტანტის მეორე ოპონენტი იყო): „ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა, ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. შანიძის ნაშრომში კვლევა-ძიების ისტორიული გზაა არჩეული“. ამ დისერტაციის პირველმა ოპონენტმა გიორგი ახვლედიანმა აღნიშნა: „აკაკი შანიძის შრომა ისტორიული მნიშვნელობისაა, ამით ქართული ენის შესწავლის ახალი ხანა დაიწყო. ამ წიგნის გამოსვლას ის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რომ მასთან გაცხოველდება ჩვენში ენის ისტორიულად და დიალექტოლოგიურად შესწავლა. ამგვარად განაწილდება შრომა მკვლევართა შორის. და მხოლოდ ერთი, ორი კაცის საკეთებელი არ იქნება ის, რაც მკვლევართა არმიამ უნდა გააკეთოსო“. არაოფიციალური ოპონენტები იყვნენ პროფესორი კორნელი კეკელიძე და საზოგადო მოღვაწე პეტრე მირიანაშვილი. იმდროინდელი პრესა დიდად გამოეხმაურა ამ ისტორიულ ფაქტს, რომელიც ქართველ საზოგადოებას იმის იმედს აძლევდა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მყარ საფუძველზე დგებოდა ქართული მეცნიერული კვლევა. ჭეშმარიტად ბედნიერი იყო ჭაბუკი დისერტანტი აკაკი შანიძე, და არა მარტო იგი. ამ დღეს ბედნიერი იყო ქართული ეროვნული მეცნიერება, ყოველი ქართველი ინტელიგენტი.

წელს ნახევარი საუკუნე შესრულდა ამ ისტორიული დღიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღნიშნა ეს საიუბილეო თარიღი. დარბაზში, სადაც 50 წლის წინათ დაცვა შედგა, მოვიდნენ „დისერტანტი“ — აკაკი შანიძე, „ოპონენტი“ გიორგი ახვლედიანი, დისერტანტის სიყრმის მეგობრები სიმონ ყაუხჩიშვილი და მიხეილ ნოდია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, სტუდენტები...

საზეიმო შეკრება გახსნა პროფესორმა შოთა ძიძიგურმა. სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები სერგო ჯორბენაძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, მიხეილ ნოდია, შალვა ამირანაშვილი, იუბილარს მიართვეს ყვავილები და საჩუქრები. სიტყვა წარმოთქვა აკაკი შანიძემ.

აკაკი შანიძის დისერტაცია დაცულია უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის უძვირფასეს ფონდში.

ნელი ჩაჩავა



ეს სურათი გადაღებულია 1966 წელს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში, შოთა რუსთაველის 800 წლისთავის ზეიმის დღეებში. მარჯვნიდან: აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე, პროფესორები დავით ჯაფარიძე, იოსებ მეგრელიძე და ნოდარ ლომოური.

დავით ჯაფარიძის ხსოვნას

დიდად დამამწუხრა დავით ჯაფარიძის გარდაცვალების ამბავმა, რომელმაც ასე დაგვიანებით მოაღწია ჩვენამდე. ისედაც თითებზე ჩამოსათვლელ, უცხოეთში მოღვაწე და სახელმოხვეჭილ ქართველებს, გამოკლდათ ერთი მეტად ნიჭიერი, ფართო მეცნიერული ინტერესების კაცი, რომელიც ჯერ კიდევ მართლაც აღსავსე იყო ჭეშმარიტი შემოქმედებითი ენერგიით; მისი დაკარგვა ყველა ჩვენგანისათვის მეტად მძიმეა.

მე იგი ამ ოთხი წლის წინათ გავიცანი. როცა 1966 წლის გაზაფხულზე დიდი შოთა რუსთაველის რვაასწლოვან იუბილეზე მოსაწვევად უცხოეთში მოღვაწე ქართველების მისამართებს ვარკვევდით, ერთი ქართველი ფილოლოგი ამერიკაშიც აღმოჩნდა. რესპუბლიკურმა საიუბილეო კომიტეტმა სიამოვნებით მოიწვია სამშობლოში და რა უდიდესი სიამოვნებით და მადლიერების გრძნობით გვეწვია ისიც თბილისში. ეს გახლდათ დავით ჯაფარიძე. მეტად თავმდაბალი, სწავლული, სულ კეთილად მომღიმარი კაცი, ან როგორც მის მეგობრებს ამერიკაში მისი დაკრძალვის დღეებში დაუწერიათ, — რაღაც განსაკუთრებული, შთამომავლობითი ქართული კეთილშობილების კაცი.

ტკბილად მახსენდება დავით ჯაფარიძესთან მეგობრული საუბრები მწერალთა კავშირში, უნივერსიტეტის კედლებში და პირადად ჩემს ოჯახში... დავითი აღტაცებული იყო. როდესაც ეკითხებოდნენ, თუ რამ მოხიბლა იგი ყველაზე მეტად, უპასუხებდა: — მოხიბლული შეიძლება ტურისტი იყოს, მე ხომ ამ მიწის ღვიძლი შვილი ვარ. მე ვამაყობ საქართველოთიო.

მან გაგვახარა ცნობით, რომ პრინსტონის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სექციის ჩამოყალიბებას აპირებდა; გამოსცემდა წიგნებს ქართულ ლიტერატურაზე, ცალკეული ქართველი მწერლის შემოქმედებაზე...

ბევრი რამ გააკეთა, ძალზე ბევრი კი, სამწუხაროდ, გასაკეთებელი დარჩა. როგორც განსვენებულის ქვრივი პროფესორი იულია ჯაფარიძე-ბეშაროვა იტყობინება, დავითს ქართული ლიტერატურის ანთოლოგია თითქმის მზად ჰქონდა გამოსაცემად. იმედია, შეერთებულ შტატებში მომუშავე ქართველოლოგები ფრთებს შეასხამენ მის უკანასკნელ სურვილს. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცებენ პატივისცემას და სიყვარულს „ქართული კეთილშობილებით“ სახელგანთქმული კაცისადმი, რომელსაც ამერიკელი კოლეგები თურმე „უშიშარ და უმწიკვლო რაინდსაც“ უწოდებდნენ.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი აკადემიკოსი

* * *

წლეულს, 27 იანვარს ნიუ-იორკში, თავის ბინაზე, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი, დავით ალექსანდრეს ძე ჯაფარიძე.

დავით ჯაფარიძე ერთი იმათგანი იყო, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე ხამშობლოდან მოშორებით ერის კულტურის სასიკეთოდ იღვწოდა. „დავით ჯაფარიძე ბრწყინვალე ნიმუშია სწავლულისა, მრავალი ერის კულტურისა და ტრადიციების კარგი მცოდნე, რომელმაც მტკიცე კავშირი შეინარჩუნა მშობლიურ კულტურასთან — რუსულთან და ქართულთან“, აღნიშნულია ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ პრინსტონის უნივერსიტეტის მემორიალში, ხოლო „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 28 იანვარს ნეკროლოგში მეცნიერის ცხოვრების გზა ასე დაახასიათა:

„იყო რა პრინსტონში სლავური ენებისა და ლიტერატურის პროფესორი, აგრეთვე სლავურ ენებში პროგრამის მთავარი დირექტორი, დოქტორი ჯაფარიძე ასწავლიდა ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ალბანისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში“...

დავით ჯაფარიძე 6 თვისა იყო, მშობლებმა საზღვარგარეთ რომ წაიყვანეს. ემიგრანტული ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად, წიგნებს სიყრმიდანვე დაუმეგობრდა. ამთავრებს ლიცეუმს, სორბონის უნივერსიტეტს, თანამედროვე აღმოსავლური ენების სკოლას. სრულყოფილად ეუფლება ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ და რამდენიმე სლავურ ენას. მისი სპეციალობა იყო რუსული ფილოლოგია, ენის ისტორია და ძველი რუსული ლიტერატურა, მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი ფრანგი სლავისტი პოლ ბუაიე, ცნობილი პროფესორები პიერ პასკალი და რაულ ლაბრი.

1949 წლიდან სორბონაში მას სამუდამოდ გადაეცა ძველი რუსული ისტორიისა და ლიტერატურის კათედრა.

1951-53 წლებში რამდენჯერმე იყო მიპატიჟებული ლექციების წასაკითხად ოქსფორდის უნივერსიტეტში.


1953-54 წლებში იგი მიიწვიეს ამერიკის უნივერსიტეტებში სლავურ ენათა კვლევის ორგანიზაციის მეთოდების შესასწავლად.

1959-60 წლებში ჩვენი თანამემამულე ინდიანას შტატის ქალაქ ბლუმინგტონის უნივერსიტეტის პროფესორია, ხოლო 1961 წლიდან პრინსტონის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ხელმძღვანელი, სლავური ენებისა და ლიტერატურის განყოფილების დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი.

1966 წლიდან 1968 წლამდე ბატონი დავითი ასწავლიდა კოლუმბიის უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურას, აგრეთვე კავკასიურ ლინგვისტიკას. ამასთან იყო ამ უნივერსიტეტის სლავური კულტურისა და ლიტერატურის სემინარების ხელმძღვანელი.

უკანასკნელ წლებში მუშაობდა ალბანის უნივერსიტეტში სლავური ფილოლოგიის პროფესორად.

დავით ჯაფარიძეს უამრავ ნაშრომებს შორის (სახელმძღვანელო ძველი რუსული ტექსტების შესასწავლად, შუა საუკუნეების სლავური მანუსკრიპტები, XII საუკუნის ქართული ბიბლიის ორიგინალური მანუსკრიპტი და სხვა), ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა მის მიერ პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული „ქართული ლიტერატურის მიმოხილვა“. მეცნიერი გაცხოველებით მუშაობდა და თითქმის უკვე მზად ჰქონდა გამოსაცემად „ქართული ლიტერატურის ანთოლოგია“ და „უახლესი ქართული ლიტერატურა“.



საირმე

...პსკიდან სამხრეთით, ოცი... მეტრზე, ანკარა მდინარის ... ხეობაში, ფოთლოვანი და ... ტყით დაბურული უზარმა... ...ების საუკუნოვანი მყუდროე... რლვევია თანამედროვე სტი... ...აგებ სანატორიუმებსა და დასა... ...ებელ სახლებს, პანსიონატებსა და ...კრაწია კოტეჯებს, ავტომანქანებისა და ადამიანთა სიმრავლეს...

საირმე! დგახარ ბუნების ამ ზღაპრულ სამეფოში და ასე გგონია მარადმწვანე მთის ფერდობებზე ირმის ჯოგები დაეშვებიან, დაეწაფებიან უკვდავების წყაროს, რომლის პოვნამიც, ერთი ლეგენდისა არ იყოს, მათი წინაპრები დახმარებიან ადამიანს...

— ამ წყლების ძვირფასი სამკურნალო თვისებები საქვეყნოდ არის ცნობილი და ამიტომაა, რომ სეზონის დაწყებიდან დამთავრებამდე კურორტი სავსეა დამსვენებლებით. — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, კურორტის დირექტორმა არჩილ პატარიძემ. — სამკურნალო ხმარებაშია ოთხი წყარო, ერთიმეორისაგან რომ განსხვავდება ქიმიური შემადგენლობის მეტნაკლებობით, მინერალიზაციის სიძლიერით, გაზის შემცველობითა და დებიტით. წყლები ცივია, გემრიელი და ნახშირმჟავით მდიდარი, თითოეული უებარია თირკმლების კენჭოვანი, მარილოვანი დაავადების, საშარდე გზების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და კუჭნაწლავის ქრონიკული დაავადების განსაკურნავად.

დამსვენებელთა განკარგულებაშია 100-საწოლიანი სანატორიუმი, რომლის საგზური 26 დღით 126 მანეთი ჯდება. ამ თანხაში შედის ბინა, კვება, მკურნალობა. მაგრამ, როგორც წესი, საგზურების 95 პროცენტს პროფკავშირები ანაწილებს სულ უფასოდ (ომისა და შრომის ინვალიდებზე), ან შეღავათიან ფასებში და მაშინ იგი დამსვენებელს 25-30 მანეთი უჯდება.

პანსიონატის კოტეჯებში 150, ხოლო კემპინგებში — 170 ადგილია.

წელს დამსვენებელთა განკარგულებაში გადავიდა კიდევ ერთი მშვენიერი პანსიონატი, რომელიც გურჯაანის, მცხეთის, ქობულეთის, ზუგდიდის, ხობის, მაიაკოვსკისა და ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეობებმა გაერთიანებული ძალებით თავიანთი მშრომელებისათვის ააგეს.

ყველაზე მეტ დამსვენებელს საქართველოს სამომხმარებლო საზოგადოების ცენტრალური კავშირის სასტუმრო-პანსიონატი მასპინძლობს, რომელსაც ექიმი შოთა უგრეხელიძე უდგას სათავეში.

ოთხ-ხუთ ათას ჯაცს უბრუნებს ჯანმრთელობას ყოველწლიურად საირმის წყლები. მომავალში დამსვენებელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. მალე აქაურობას დაამშვენებს ახალი თოთხმეტსართულიანი სასტუმროს შენობა, გათვალისწინებულია უახლოეს წლებში აიგოს კიდევ ერთი 500-ადგილიანი სანატორიუმი, — გვითხრა დასასრულს კურორტის დირექტორმა არჩილ პატარიძემ.

არსენ ჩარკვიანი



სურათებზე: საირმე; ქვევით (მარჯვნივ) კურორტის დირექტორი არჩილ პატარიძე და პანსიონატის მთავარი ექიმი შოთა უგრეხელიძე დამსვენებლებთან.

სპორტული ქრონიკა

ფეხბურთი

მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონდა 27 სექტემბერს ქუთაისის „ტორპედოს“ ოდესის „ჩერნომორეცთან“. გამარჯვებულს უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი უჩნდებოდა. მოველოდით, რომ ამ შეხვედრაში ქართველი ფეხბურთელები გამარჯვებისკენ სწრაფვის დაუოკებელ სურვილს გამოამჟღავნებდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით. მასპინძელთა ნერვულმა, არაზუსტმა თამაშმა სტუმრები მდგომარეობის ბატონ-პატრონად აქცია. მატჩის მსვლელობაზე ანგარიშიც მეტყველებს — 2:0 ოდესელთა სასარგებლოდ.

ქუთაისელებმა იგრძნეს უმაღლესი ლიგის დატოვების საშიშროება და მომდევნო შეხვედრები აღმავლობით ჩაატარეს.

ჯერ იყო და ანგარიშით 2:1 დაამარცხეს თბილისის „დინამო“, ხოლო შემდეგ ასეთივე ანგარიშით ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს კიევის „დინამოს“ სძლიეს.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, მათ ქუთაისელებთან დამარცხების შემდეგ, კიდევ ორი ქულა დაკარგეს. ამჯერად ისინი მოსკოვის „სპარტაკთან“ დამარცხდნენ.

„ბ“ კლასის II ზონის პირველ ჯგუფში ლიდერობას განაგრძობს რუსთავის „მეტალურგი“, რომელსაც 27 თამაშიდან 52 ქულა აქვს. მეორე ადგილი 47 ქულით სამტრედიის „ლოკომოტივს“ უკავია.

ფრენბურთი

ვარნაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა ყველა შეხვედრა მოიგო და ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა. ამ გამარჯვებას სათავეში ჩვენი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი გივი ახვლედიანი უდგას.

ჭიდაობა

სოხუმში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა თბილისის ძლიერი კოლექტივი, II ადგილი დაიკავა აფხაზეთმა, III — აჭარის მოჭიდავეებმა.

სპარტაკიადები

ჩხოროწყუში დამთავრდა რაიონის სპარტაკიადა. სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში. ჭიდაობაში გუნდური I ადგილი დაიკავეს სოფელ მუხურის წარმომადგენლებმა. ფრენბურთში გამარჯვებული გამოვიდა ზუმის სასოფლო საბჭოს ნაკრები. კალათბურთში კი კირცხელმა სპორტსმენებმა იმარჯვეს.

თვეზე მეტხანს გაგრძელდა საჩხერის რაიონული სპარტაკიადა. ყველას აჯობა ჭალის სასოფლო საბჭოს გაერთიანებულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა. II ადგილი დაიკავა საჩხერის საკონსერვო ქარხნის გუნდმა. III — ჩიხის სასოფლო საბჭოს გაერთიანებულმა კოლექტივმა.





სურათზე: რობერტ შავლაყაძე.

ოლიმპიური ჩემპიონი

რობერტ შავლაყიძე 1 მეტრსა და 65 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადავლო და დედაქალაქის ჩემპიონი გახდა. შეაქეს, და თან უსაყვედურეს — სპორტისათვის გაჩენილს რატომ არც ერთი სექციისკენ არ მიგიწევს გული. „სპორტისათვის გაჩენილმა“ ყურად იღო უფროსების რჩევა-დარიგება და ერთსა და იმავე დროს მძლეოსნობის, ცურვის, კალათბურთისა და კრივის სექციებში ჩაეწერა...

სპორტში გადადგმულ პირველ ნაბიჯებს რობერტი ღიმილით იგონებს. ჰყვება, ერთ მშვენიერ დღეს როგორ მოინდომა გადამხტარიყო ყველაზე მაღლა, ეცურავა ყველაზე სწრაფად, ეთამაშა კალათბურთი ყველაზე კარგად და რინგზე დაემარცხებინა ყველა მეტოქე...

სპორტისადმი ასე ფართოდ მოზღვავებული სიყვარული საკმაოდ სწრაფად ჩაქრა. დარჩა მხოლოდ ერთი დაუოკებელი ჟინი — თავს ზევით გადებულ თამასასთან ჰიდილისა.

2-მეტრიანი ზღვარი 1955 წელს გადალახა. მაშინ ჩვენს ქვეყანაში ასე მაღლა ბევრი როდი ხტებოდა, თუმცა ამერიკასა და ევროპაში უკვე იყვნენ სპორტსმენები, რომლებიც 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე გადებულ თამასასაც ადვილად სძლევდნენ.

წვრთნა, წვრთნა და წვრთნა, **სტომის საკუთარი სტილის ძიება.**

1958 წელს რობერტი 213 სანტიმეტრის სიმაღლეს სძლევს და მსოფლიოს უძლიერეს მხტომელთა შორის იმკვიდრებს ადგილს.

„გიგანტთა მატჩი“ — ასე უწოდებენ ამერიკელ და საბჭოთა მძლეოსნების ტრადიციულ შეხვედრას. ეს მატჩი ახლა ყოველ წელიწადს იმართება. ორი დიდი ქვეყნის მძლეოსანთა ჰიდილში მრავალი მსოფლიო რეკორდი დაიბადა. ამ შეხვედრაში გამარჯვებულნი შემდეგ ხშირად ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები თუ პრიზიორები ხდებიან. გამონაკლისი არც 1959 წელს ფილადელფიაში გამართული მატჩი იყო. ის, ვინც მძლეოსანთა ამ პაექრობას დაესწრო, ერთი სენსაციის მოწმე გახდა — რობერტ შავლაყაძემ, სპორტის ისტორიაში პირველად დაამარცხა ამერიკელი სიმაღლეზე მხტომელები და გუნდს ქულათა მაქსიმუმი შესძინა. მაშინ ამერიკელმა დიუმასმა, რომელსაც მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდა, თავისი მარცხი შეამჩნია და ჩვენს ჯოხოსანს მიულოცა.

ოლიმპიური ჩემპიონი უნდა იყოს. შელახული თავმოყვარეობა მხოლოდ სპორტულ ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას შეეძლო აღედგინა.

და აღიდგინა კიდეც. სიმაღლეზე მხტომელთა ბრძოლა, რომელიც თითქმის 10 საათს გაგრძელდა, შავლაყაძის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალიც მას ერგო. ეს გამარჯვება მით უფრო სასაგონო იყო, რომ ოლიმპიური ასპარეზობის ისტორიაში ამერიკელმა მხტომელებმა არ იცოდნენ, რა იყო მარცხი.

რობერტ შავლაყაძე მზად იყო თავისი მიღწევა 1964 წელს ტოკიოში გამართულ ოლიმპიურ ასპარეზობაზეც განმტკიცებინა, მაგრამ შეჯიბრებამდე ერთი დღით ადრე გაცივდა და ტიტულის დაცვა ავადმყოფს მოუხდა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მსოფლიოს საუკეთესო მხტომელებს მეტოქეობა ვეღარ გაუწია და მეხუთე ადგილი დაიჭირა.

ბევრის აზრით დიდ სპორტს რობერტ შავლაყაძე ადრე გამოემშვიდობა. თვითონ რობერტი კი სხვანაირად ფიქრობს.

— ვიგრძენი, თამასის უფრო ზევით აწევა აღარ შემეძლო. სიმაღლესთან ჰიდილი ძველებურ ჟინს აღარა მგვრიდა, მარცხთან შეჩვევაც არ მინდოდა და სარბიელი სხვებს დავუთმეთ.

ახლა სპორტის დამსახურებული ოსტატი რობერტ შავლაყაძე, რომელიც უდიდესი სპორტული მოწყვეტებისათვის მარჯვობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა, მავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დისტანციის რესპუბლიკური სკოლის დირექტორია. სკოლის 22 სექციაში 500-ზე მეტი დარბაზები სპორტსმენია გაერთიანებული. რობერტი და მისი თანაშემწეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჭაბუკები და ქალაშვილები დიდ სპორტს აზიარონ. გაატარონ იმ ბილიკზე, რომელმაც თავის დროზე მათი დირექტორი და მასწავლებელი ოლიმპიური ჩემპიონის კვარცხლბეკზე აიყვანა.

რევაზ მაჭავარიანი

ქარვით და ქარფერი არ არის დავიწყებული

ვერმახტის საიდუმლო საქმე

(გაგრძელება)

მათ არ იცოდნენ, რომ ბანაკში მათზე ადრე ვალიკო ჯაყელი დაბრუნდა, მთელი გზის მანძილზე იგი მათ უთვალთვალებდა, ბუჩქებში იმალებოდა, ლაპარაკს უსმენდა, და ახლა ყველაფერს გაბლიანს და დიურს აბარებდა.

— შენ დარწმუნებული ხარ, რომ იმათ მხოლოდ ორი აფეთქება მოახდინეს? — ჰკითხა დიურმა, როდესაც ჯაყელმა ყველაფერი ჩაუკაკლა.

— დიახ, ბატონო დოქტორო, მე ხომ იქვე ახლოს ვიყავი.

— იქნებ ზეინკლიშვილმა ორი კუბიკი ერთად ჩააწყო და ამიტომ გამოუვიდა ასეთი ძლიერი აფეთქება?

— არა, ბატონო დოქტორო, როდესაც უკან დასაბრუნებლად ემზადებოდნენ მე თვითონ დავინახე, რომ ზეინკლიშვილმა ერთი კუბიკი, ბიკფორდის ზონარი და ბარი ბრეზენტის ჩანთაში გაასვია.

დიური ჩაფიქრდა. დუმდა ჯაყელიც, თან დაფეთებული მისჩერებოდა ხან დიურს და ხან გაბლიანს, რომელიც ფანჯარასთან იდგა, მოსაუბრეებისათვის ზურგი შეექცია, და ისე თარგმნიდა მათს ლაპარაკს ქართულიდან — გერმანულად, გერმანულიდან — ქართულად.

მართალია გაბლიანი ყოველთვის იყენებდა ჯაყელის სამსახურს, იგი ჩათრეული ჰყავდა თავის ბინძურ საქმიანობაში, მაგრამ ამავე დროს, მას აშკარად უპატივცემულოდ ექცეოდა, რაც მეტად აშინებდა ვალიკოს. მას შიში აიძულებდა, რაც შეეძლება მეტი ეამებინა გივისათვის, ეტყობა, ამ შემთხვევაში, რაღაც არ გამოუვიდა ლაჩიას და ამიტომ გაბლიანს ჯერთხელაც არ შეუხედავს მისთვის. მას მეტი რა შეეძლო გაეკეთებინა? მთელი გზის მანძილზე ხომ ფეხდაფეხ მისდევდა ზეინკლიშვილს, არცერთი მათი მოძრაობა, ლაპარაკი არ დარჩენია შეუმჩნეველი. მაგრამ რამდენიც გინდა ეცადო, ამ სვანის გულს მაინც ვერ მოიგებ! ხომ არ შეიძლება აღმოაჩინო შეთქმულება, როცა ის არ არსებობს?

გაბლიანი უცბად შემობრუნდა და დაავალა:

— შეგიძლია წახვიდე, ნინიკაშვილს თვალი არ მოაცილო.

ჯაყელი მოწიწებით, სამხედრო სალმით გამოემშვიდობა თავის პატრონებს და კარისკენ გაემართა.

— თქვენ უშვებთ მას, გივი? — გაუკვირდა დიურს.

— დიახ, იგი ჩვენ აღარ გვჭირდება, — უპასუხა გაბლიანმა და როდესაც ჯაყელმა კარი გაიხურა, სკამი დოქტორს ახლოს დადგა, როგორც ცნობილია ასე გადაარჩა, სკამის ზურგს ხელებით ჩამოეყრდნო და შეწუხებით წარმოთქვა:

— რთული ამბავია, დოქტორო!..

— თქვენ ახალფეხებად კუბიკებს გულისხმობთ? მართლაც, სამი წაიღეს, მაგრამ მხოლოდ ორი აფეთქეს, რისთვის უნდათ მესამე?

გაბლიანმა გაიცინა:

— ჩემთვის ეს გასაგებია.

— როგორ?! დიურმა ნერვულობისაგან თვალები აახამხამა, — ან მე ან ობერლენდერს აგვაფეთქებენ?

დიურის ციებ-ცხელებამ გულიანად გააცინა გაბლიანი, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა.

— არა, დოქტორო, ჩემი თანამემამულეები იმდენად ჭკვიანები არიან, რომ ამას არ ჩაიდენენ, ყოველ შემთხვევაში — ამჟამად. იმ კუბიკს ზეინკლიშვილი ისევ უკან დაუბრუნებს ობერლენდერს.

— თქვენ დარწმუნებული ხართ ამაში?

— აბსოლუტურად.

— კი მაგრამ, მაშინ რაღა გაწუხებთ, თქვენ? — დიური გაკვირვებით მისჩერებოდა გაბლიანს.

— ნინიკაშვილის სიტყვები, დოქტორო, ისინი ყოველგვარ დინამიტზე საშიშია. გაბლიანმა პაპიროსს მოუკიდა, პირიდან ბოლქვებად გამოუშვა სქელი კვამლი და ყურადღებით გააყოლა თვალი, როგორ აიზლაშნა დაკლაკნილი ტალღები ჭერისკენ, გაიშალა და გაქრა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!

ძვირფასო თანამემამულენო!

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებო!

ცხადდება ხელმოწერა 1971 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და უველა მოქალაქეს შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (V/O „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და იყიდება საბჭოთა გამოცემები.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შენახსენებთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის მე-2 და მე-4 პარასკევს, რვა გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას, აშუქებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ისტორიის, სპორტის, ქართული ზნე-ჩვეულებების, ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგავიწყდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 – 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 – 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Lôja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ ბერლინი

Kawe
Kommissionsbuchhandlung
I Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf I

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln I
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 – 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. I

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ზოგიერთი მისამართი, სადაც შეიძლება გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia – URSS
Via Edilio Raggio, 1 – 6
16124 Genova

Associazione
Italia – URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt, 43
Oslo I

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 – Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 – Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 – 7, rue Lèvrier
Genève

ჩილე

Empresa Editoria «Austral» Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam

ცხადდება ხელმოწერა 1971 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე!“

ABONNEZ VOUS AU JOURNAL «SAMCHOBLO» POUR 1971!

ABONNIERT DIE ZEITUNG «SAMSCHOBLO» FÜR DAS JAHR 1971!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER «SAMSHOBLO» FOR 1971!

დაგეძებენ, მოგველიან

სულეიმან ხუსეინის ძე მოწყოგბილს,

დაბადებულს 1917 წელს სოფელ ჭახათში (ქობულეთის რაიონი), ეძებს მამა — **ხუსეინი,** ძმა — **უსუფ მოწყობილი,** მცხოვრებნი ქობულეთში, ლენინის ქუჩა № 184.

ვასილ სოლომონის ძე კიკაძეს,

დაბადებულს 1904 წელს ბათუმში, ეძებენ დედა — **მარიამი,** მეუღლე **ეკატერინე,** შვილები — **ირაკლი, რუისან** და **ზაურ კიკაძეები,** მცხოვრებნი ხაშურში, ბრძოლის ქუჩა № 72.

ძმებს, ალექსანდრე და იასონ თომას ძე ჩეჩელაშვილებს,

დაბადებულთ 1909 და 1912 წლებში ქალაქ ქუთაისში, ეძებენ და — **ვერა ჩეჩელაშვილი,** მცხოვრები ქალაქ ქუთაისში, თბილისის ქუჩა № 50.

გოგი აბრამის ძე ხუნაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში, ეძებენ დედა — **თამარი,** ძმა — **სპირიდონ ხუნაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ მაღაროში.

აბესალომ იოსების ძე ოგოლაძეს,

დაბადებულს 1922 წელს თბილისში, ეძებს დედა — **ნინო (უუუნა) ობოლაძე,** მცხოვრები თბილისში, ახუნდოვის ქუჩა № 9.

სერგო კიმოთეს ძე ჩიხლაძეს,

დაბადებულს 1918 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორში, ეძებენ მეუღლე — **თამარ, მამა** — ქიმოთე, დედა — **აგრაფინა ჩიხლაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ წყალტუბოში, ლენინის ქუჩა № 37.

არჩილ ივანეს ძე დავითაშვილს,

დაბადებულს 1920 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **გაიანე,** მამა — **ვანო დავითაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა № 11.

აკაკი ტოტოლის ძე შელიას,

დაბადებულს 1916 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ გრახაში, ეძებენ შვილი — **რამინი,** და — **სონია,** ამასწუილი — **ბიჭუნა შოთას ძე შელიები,** მცხოვრებნი სოფელ გრახაში.

ოთარ ილიას ძე კაციტაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ქალაქ თელავში, ეძებენ დედა — **ჭეთევან გოცირიძე,** მამა — **ილია,** და — **მარიამ კაციტაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, რუსთაველის გამზირი № 37.

დავით ზოსიმეს ძე ნიკაბაძეს,

დაბადებულს 1910 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკინში, ეძებენ მეუღლე — **ქატო,** შვილები — **უუუნა, მერი, ჯემალ ნიკაბაძეები,** მცხოვრებნი სოფელ ტაბაკინში.

ძმებს, ალისტრახო (პიპიკო) და ლავრენტი დავითის ძე გოგიჩაიშვილებს,

დაბადებულთ 1912 და 1924 წლებში ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესა-ჭინათში, ეძებს ალისტრახოს შვილი — **თამაზ გოგიჩაიშვილი,** მცხოვრები თბილისში, პლეხანოვის გამზირი № 118.

იოსებ დავითის ძე ჭყონიას,

დაბადებულს 1920 წელს მარნეულის რაიონის სოფელ ჯიმშითში, ეძებენ დედა — **სოფიო,** მამა — **დავითი,** დები — **დარეჯან (დოდო)** და **ქსენია (ძაბუ) ჭყონიები,** მცხოვრებნი თბილისში, დიდუბის ქუჩა № 22.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188

ფასი 5 კაპ.